NEWSLETTER

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია

ბექა ფერაძე დამსაქმებელთა ასოციაციის წევრებს შეხვდა

დამსაქმებელთა ასოციაციის წევრები საწარმოო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს გაეცნენ

დავით სონღულაშვილთან შეხვედრა გაიმართა

დღგ-ის კარში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები

დამსაქმებელთა ასოციაციის წევრები საწარმოო ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს გაეცნენ

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ“ წევრი კომპანიებისთვის ნარჩენების მართვის თემაზე დისტანციური შეხვედრა გაიმართა.

მსჯელობა შეეხო ორ ძირითად საკითხს:

- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ნარჩენების მართვის სტრატეგია და მოთხოვნები;
- მწარმოებელთა გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციის დაფუძნება და მისი როლი.

შეხვედრას უძღვებოდა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ექსპერტი გარემოსდაცვით საკითხებში ხათუნა ახალაია.

შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის, ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ირმა გურგულიანი, რომელთან კითხვა-პასუხის რეჟიმში სახელმწიფოს მიერ დაწესებული მოთხოვნების შესახებ დამსწრე კომპანიებმა ამომწურავი პასუხები მიიღეს.

ბექა ფერაძე დამსაქმებელთა ასოციაციის წევრებს შეხვდა

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებით ბიზნეს სექტორის 200-მდე წარმომადგენელი შრომის ინსპექციის უფროსს ბექა ფერაძეს შეხვდა, რომლის ფარგლებშიც, სამუშაო დროის აღრიცხვის ფორმასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბრეს.

1-ელ მარტს ამოქმედებული ცვლილება კომპანიებს თანამშრომელთა სამუშაო საათების აღრიცხვას, ჯანდაცვის უწყების მიერ შეთავაზებული ფორმით ავალდებულებს. ბექა ფერაძემ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებს ახალ საკანონმდებლო ნორმაზე დეტალური ინფორმაცია მიაწოდა და მათ კითხვებს უპასუხა.

შეხვედრას, რომელიც მხარეებს შორის კომუნიკაციის ხელშეწყობას ისახავს მიზნად, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი ლაშა ლაბაძე უძღვებოდა.

ბიზნეს სექტორის ნებისმიერ წარმომადგენელს სამუშაო დროის აღრიცხვასთან დაკავშირებით შეუძლიათ საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციას წერილობით მიმართონ კონსულტაციისთვის.

დავით სონღულაშვილთან შეხვედრა გაიმართა

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ხელმძღვანელმა პირებმა ელგუჯა მელაძემ, ლაშა ლაბაძემ და შალვა ცხაკაიამ საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარესთან დავით სონღულაშვილთან გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართეს.

შეხვედრის ფარგლებში პარლამენტის წარმომადგენლები დამსაქმებელთა ასოციაციის საქმიანობის, მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძიებებისა და პროექტების შესახებ ინფორმაციას გაეცნენ.
თავის მხრივ, ბ-ნმა დავითმა მზაობა გამოხატა აქტიური თანამშრომლობისთვის.

ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა ტრენინგი - ციფრული ტრანსფორმაცია, როგორც შესაძლებლობა ბიზნესისთვის

ბიზნეს გაერთიანება - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა ვებინარი თემაზე: „ციფრული ტრანსფორმაცია, როგორც შესაძლებლობა ბიზნესისთვის."

პანდემიის დაწყებისთანავე ბიზნეს და სავაჭრო პროცესების ონლაინ რეჟიმში გადასვლის კვალდაკვალ დამსაქმებელთა ასოციაციამ არაერთი სერვისი შესთავაზა წევრ კომპანიებს სწრაფი და ეფექტური ციფრული ტრანსფორმაციისთვის.

სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა სემინარიც, რომელის ფარგლებშიც განიხილებოდა ციფრული ტრანსფორმაციის არსი, ბიზნეს პროდუქტიულობის ზრდა, სამუშაო პროცესების ოპტიმიზაცია და ხარჯების შემცირების შესაძლებლობები.

სემინარს, რომელსაც 40-მდე კომპანიის წარმომადგენელი ესწრებოდა, უძღვებოდნენ სანდრო კანდელაკი - ბიზნეს აქსელერატორი სპარკის გენერალური მენეჯერი - ციფრული ტრანსფორმაციის ექსპერტი და გოგა საათაშვილი - ციფრული ტრანსფორმაციის ექსპერტი. სემინარის მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ლაშა ლაბაძემ.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია სატრენინგო და საკონსულტაციო მომსახურებას სთავაზობს კომპანიებს, რომლებსაც სურთ ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისთვის შექმნან თანამედროვე და ეფექტური საშუალებები.



დამსაქმებელთა ასოციაციის განათლების კომიტეტის განახლებული შემადგენლობის პირველი შეხვედრა გაიმართა

ბიზნეს გაერთიანება „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ“ განათლების კომიტეტის განახლების შემდეგ პირველი შეხვედრა დისტანციურ რეჟიმში გამართა.

განახლებული კომიტეტი მიზნად ისახავს შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსის შესამცირებლად პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობას. კეძოდ, ისეთ პროცესებში აქტიური თანამონაწილეობას, როგორიცაა: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება, პროფესიული პროგრამებისა და დუალური სწავლების ძირითადი ასპექტების შესახებ ბიზნესის ინფორმირებას, საკანონმდებლო ინიციატივების წარდგენას, მშობლის, მოსწავლისა და მასწავლებლის დონეებზე პროფესიული განათლების პოპულარიზებას და სხვ.



განახლებული კომიტეტის პირველი შეხვედრა საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმი ლაშა ლაბაძემ გახსნა და კომიტეტის წევრებს, კერძო სექტორის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადა - პროფესიული განათლების განვითარების პროცესში აქტიური თანამშრომლობისთვის.



„მოხარული ვართ რომ განახლებული კომიტეტის წევრობით ჩვენი წევრი განსხვავებული სექტორების წარმომადგენლები დაინტერესდნენ. მსგავსი შემადგენლობა საშუალებას მოგვცემს, განსხვავებული ინდუსტრიის წარმომადგენლების ადამიანური რესურსების საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ მუდმივად განახლებული ინფორმაცია გვქონდეს. შესაბამისად შევძლებთ ჩვენი მუშაობა სახელმწიფოს, საგანმანათლებლო დაწესებულებების, დონორი ორგანიზაციებისა და სხვა დაინტერესებული მხარეებთან იყოს უფრო ეფექტური.

აღსანიშნავია, რომ კომიტეტის პრიორიტეტული მიმართულება პროფესიული განათლებაა მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლებელია კერძო სექტორის აქტიური ჩართულობის გარეშე მისი განვითარება, ვინაიდან პროფესიული განათლების მიზანი სწორედ კერძო სექტორის საჭიროებების დაკმაყოფილება და მათი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიციური კადრების მომზადებაა. სწორედ ამიტომ დარწმუნებული ვართ სახელმწიფოსთვის სოციალურ და ეკონომიკურ ჭრილში მნიშვნელოვან შედეგებს მოიტანს კომიტეტის მუშაობა,“ - ლაშა ლაბაძე.

კომიტეტის თავმჯდომარედ დამსაქმებელთა ასოციაციის წევრი კომპანია „გუდვილის“ სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი ხათუნა ჩხარტიშვილი დაინიშნა. ქ-ნმა ხათუნამ აღნიშნა, რომ 2016 წლიდან საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის მიერ ორგანიზებული პროფესიული განათლებისა და სწავლების პროექტში ჩართვის შემდეგ კომპანიამ სრულად მოაგვარა კადრების საჭიროების პრობლემა და მოხარული იქნება, რომ აღნიშნული პლატფორმა საშუალებას მისცემს სხვა კომპანიების გაუზიაროს გამოცდილება. ასევე, აანონსებს, რომ კომიტეტი დატვირთული იქნება საინტერესო ღონისძიებებითა და მნიშვნელოვანი პროექტებით, რომელთა შესახებ დეტალურ ინფორმმაციას უახლოეს პერიოდში გაიგებს საზოგადოება.

დღგ-ის კარში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები



საგადასახადო კანონმდებლობის ევროკავშირის დღგ-ის დირექტივასთან (2006/112/EC) დაახლოების მიზნით ცვლილებები შევიდა საგადასახადო კოდექსში და დღგ-ის მარეგულირებელი დებულებები ჩამოყალიბდა სრულად ახალი რედაქციით, რომელიც 2021 წლის 1 იანვრიდან უკვე ძალაშია.

აღნიშნული საკითხის შესახებ ბიზნეს სექტორის ინფორმირების მიზნით, „საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის“ ორგანიზებით გაიმართა ვებინარი თემაზე „დღგ-ის კარში განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები." (ვებინარის თემატიკა)

მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელმა დირექტორმა ლაშა ლაბაძემ.

ვებინარს უძღვებოდა გელა ბარშოვი საკონსულტაციო კომპანია „თიფი სოლუშენის“ მმართველი პარტნიორი და საგადასახადო კონსულტანტი, რომელიც აქტიურად იყო ჩართული დღგ-ის კარში საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების პროცესში.

ტრენინგის მნიშვნელოვანი ნაწილი დაეთმო კითხვა-პასუხის რეჟიმს.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია ბიზნეს სექტორის ინფორმირების მიზნით საგადასახადო საკითხების შესახებ შეხვედრებსა და ვებინარებს უახლოეს მომავალში კვლავ გამართავს.

ქალაქ ხონში თანამედროვე სტანდარტებისა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ახალი პროფესიული განათლების ცენტრი გაიხსნება

ახალი სასწავლო ცენტრი სამინისტროს, ბიზნეს სექტორისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლობით განვითარდება. სამშენებლო და სარეაბილიტაციო სამუშაოებს მთლიანად აფინანსებს დამსაქმებელთა ასოციაცია, ხოლო სამინისტრო გამოყოფს რესურსს თანამედროვე სასწავლო გარემოს შესაქმნელად. პროექტის მიზანია, კერძო სექტორთან პარტნიორობით თანამედროვე პროფესიული განათლების შეთავაზება რეგიონის მოსახლეობისთვის, მათი დასაქმებისა და განვითარების ხელშესაწყობად.

სასწავლებელი ფუნქციონირებას 2022 სასწავლო წლიდან დაიწყებს და რეგიონის საჭიროებებიდან გამომდინარე, სტუდენტებს ძირითადად სამშენებლო, ინჟინერიისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებებით, პროფესიულ პროგრამებს შესთავაზებს. ცენტრის სარეაბილიტაციო სამუშაოები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ თამარ ქიტიაშვილმა, დამსაქმებელთა ასოციაციის პრეზიდენტთან, ელგუჯა მელაძესთან და ხონის მერთან ლადო ჯურხაძესთან ერთად დაათვალიერა.

მინისტრის მოადგილემ ყურადღება გაამახვილა იმაზე, თუ რა მიმართულებით შეუძლია სახელმწიფოს კერძო სექტორთან ერთად ინვესტიციის განხორციელება, რათა ხონისა და მიმდებარე მუნიციპალიტეტების მოსახლეობისთვის, ყველაზე აქტუალური და მოთხოვნადი პროფესიები გახდეს ხელმისაწვდომი.

დამსაქმებელთა ასოციაციის კოორდინაციით, მინისტრის მოადგილემ შეხვედრა ადგილობრივი კერძო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთანაც გამართა და განათლების ცენტრის განვითარების პროცესში, მხარეთა მაღალი ჩართულობის საჭიროებასა და მნიშვნელობაზე ისაუბრა.

საკონტაქტო ინფორმაცია:
მისამართი: თბილისი, ა. ბელიაშვილის ქ. #106
ტელ.: 2 14 73 73
მობ.: 514 088 888
ელ-ფოსტა: pr@employer.ge
ვებ-გვერდი: www.employer.ge
www.osh.ge